№3 (9898) ◆ მარტი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

სამუშაო შეხვედრა

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ**, სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **ქრისტინა კობახიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** და საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ** განიხილეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. იმსჯელეს ზოგიერთი მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და მათი მოგვარების გზებზე, ასევე იმ ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების მეტად ჩართულობას.

შეხვედრის ფორმატში ასევე განხილულ იქნა მუნიციპალიტეტში კულტურის, ტურიზმის, სპორტის და სხვადასხვა სფეროების მიმართულებით დაგეგმილი სიახლეები.

გაზაფხული შემოსულა, გილოცავთ!

ქართველი ქალი არის ოჯახის ბურჯი, ქვეყნის დამცველი და სწავლა-განათლების მიმდევარი. ქართველი ქალი არა მარტო ომობს მამაკაცთან ერთად, არამედ ოჯახშიც დიდ როლს ასრულებს.

დელაბორტი

ძვირფასო ქალბატონებო, დედებო!

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას, შვილების კეთილდღეობას და გახარებას! მუდამ გქონოდეთ იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ მისცეთ მათ მხიარული ბავშვობა, გადასცეთ და ჩაუნერგოთ სულიერი ფასეულობები, აღზარდოთ ისინი განათლებულ, წარმატებულ ადამიანებად და საამაყო მამულიშვილებად!

პაპუნა მარგველიძე,
სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ დედის და ქალთა დღეებს!

დღესასწაულები ემთხვევა გაზაფხულის პირველ დღეებს, რაც ასოცირდება განახლებასთან, იმედებთან და სილამაზესთან.

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შვილების კეთილდღეობასა და გახარებას. გქონოდეთ იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ მისცეთ მათ მხიარული ბავშვობა, გადასცეთ და ჩაუნერგოთ სულიერი ფასეულობები, აღზარდოთ ისინი განათლებულ, წარმატებულ ადამიანებად და საამაყო მამულიშვილებად!

აგხდენოდეთ ოცნებები და მშვიდობიან და ერთიან საქართველოში გეცხოვროთ.

იყავით გაზაფხულივით მშვენიერები, ლამაზები, თქვენი ცხოვრების ყოველი დღე ყოფილიყოს თვით გაზაფხული.

ჩვენდა საამაყოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ისტორიულად ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში.

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გვყავდა მეფე თამარი. გისურვებთ, ყოფილიყოთ ჩვენი საამაყო წინაპარი ქალბატონების საქმეთა ღირსეული გამგრძელებლები.

უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით
ასლან საგანელიძე,
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღეს!

ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებულ ცხოვრებას გისურვებთ! ქალთა დღესასწაულები სიმბოლურად გაზაფხულის პირველ დღეებს ემთხვევა, გაზაფხული კი სილამაზის, ახალი სიცოცხლის და სიხარულის მომტანი თვეა.

გისურვებთ თქვენი ყოველი დღე ყოფილიყოს იმედით, სიამაყითა და რწმენით სავსე! ღმერთმა გაამრავლოს და გააძლიეროს ჩვენი მხარე და სრულიად საქართველო!

ზვიად მხეიძე, *ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი*

საგამოცდო ცენტრი ამბროლაურში

აბიტურიენტების, მშობლების და პედაგოგების თხოვნის გათვალისწინებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის – **პაპუნა მარგველიძისა** და მაჟორიტარი დეპუტატის – **გოჩა ენუქიძის** მიერ საგამოცდო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დადებითად გადაწყდა. პირველად რეგიონში ქ. ამბროლაურში „საგამოცდო ცენტრი“ გაიხსნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ,** მოადგილეებთან – **ქრისტინა კობახიძესთან** და **ლევან ზალკალიანთან** ერთად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან – **სოფიო გორგოძესთან**, მოადგილესთან – **კახა ჯამბურიასთან** და გამოცდების ორგანიზების სამსახურის უფროსთან – **მაია კოპლატაძესთან** ონლაინ პლატფორმის საშუალებით მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც იმსჯელეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცენტრის გახსნისათვის ყველა საჭირო ღონისძიებაზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო, როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს ეფექტიანად გეგმავს.

მავნებლის საპრევენციო ღონისძიებები ეტაპობრივად და სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდება.

მავნებლის საწინააღმდეგოდ მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე სხვა აქტუალური საკითხები, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის უფროსმა – **ლაშა შალამბერიძემ,** რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან – **პაპუნა მარგველიძესთან** და რწმუნებულის პირველ მოადგილე **ქრისტინე კობახიძესთან** ერთად განიხილა.

SOS მოსახლეობის საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ სოფელ კვაცხუთში ლაბარატორიულად დადასტურებული ძაღლის ცოფის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** გამოსცა განკარგულება საკარანტინო შეზღუდვის შესახებ. რაც გულისხმობს ცხოველთა ქუჩაში და სხვა ადგილებში მათი გამოყვანის აკრძალვას, რადგან კარანტინის პერიოდში საჭიროა მათი იზოლაცია. პროფილურ სამსახურებთან ერთად შემუშავებულ იქნა ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებათა გეგმა. ოპერატიულად დაიწყო ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, სადეზინფექციო სამუშაოები და უმეთვალყუროდ დარჩენილი ძაღლების გადაყვანა ოზურგეთის „ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში“.

სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან მუდმივ კონტაქტშია და ოპერატიულად ხდება მათზე არსებულ სიტუაციაზე ინფორმაციის მიწოდება სურსათის ეროვნული სააგენტოს – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის – **გაბრიელ ჩიკვაიძის** მიერ. ამჯერადაცგამართულ მორიგ შეხვედრაზე მან დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო რწმუნებულს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცოფის ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე სალიკვიდაციო ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე.

შეხვედრას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე** და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ძვირფასო ამბროლაურელებო! შეგახსენებთ, რომ ჯამში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძაღლზე ცოფის ლაბორატორიულად დადასტურებული 8 შემთხვევაა გამოვლენილი. გრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მიუსაფარი ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში. ასევე, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია და სადეზინფექციო სამუშაოები, რომელიც აქტიურად გაგრძელდება და მოიცავს ცოფის დადასტურებული ადგილიდან 3 კილომეტრის რადიუსს.

ძალაშია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის – **პაპუნა მარგველიძის** გადაწყვეტილებით გამოცემული განკარგულება – საკარანტინო შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით იმ ლოკაციებზე, სადაც ცოფის დადასტურებული შემთხვევები გამოვლინდა.

მოგიწოდებთ: გამოიჩინოთ მაქსიმალური სიფრთხილე და დაიცვათ კარანტინის წესები.

მერიაში გაამრთულ **სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან**, მორიგ ყოველკვირეულ სამუშაო შეხვედრაზე სამსახურების უფროსებმა წარმოადგინეს გასულ პერიოდში შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაციები და ისაუბრეს იმ ინიციატივებზე, რომლებიც კონკრეტული სფეროების მიხედვით უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად მხეიძემ მათ მიაწოდა ინფორმაცია მასშტაბური დასუფთავების აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით, სადაც ჩაერთვებიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

საუბარი ასევე შეეხო განათლებისა და კულტურის სფეროებში არსებულ პროგრამებს, ეკონომიკისა და ქონების მართვის მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებს და ამ დროისთვის არსებულ სხვა მნიშვნელოვან თემებს.

სამსახურების ხელმძღვანელებმა საკურატორო სფეროების მიხედვით კონკრეტული დავალებები მიიღეს.

მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან მორიგი შეხვედრა გაიმართა. განიხილულ იქნა სხვადასხვა მიმართულებით შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოები, მიმდინარე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, იმსჯელეს სოფლებში ამ პერიოდისთვის გამოკვეთილ საჭიროებებსა და მათი დროულად მოგვარების გზებზე.

ყურადღება გამახვილდა „სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმების მასშტაბურ სახელმწიფო პროგრამაზე“ და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობაზე. პროგრამის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფებისთვის შექმნილია ისეთი საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

წარმომადგენლებს მოსახლეობის მიმართვებზე სწრაფი რეაგირება და მათთვის მერიაში მოქმედ პროგრამებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება დაევალათ.

წლებია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება. გამონაკლისი არც 2023 წელიწადი იქნება. მაგალითად სოციალური პროგრამით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე/ოჯახზე, გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით. ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ პირის ოჯახზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე ვერ იყენებს ზედა და ქვედა კიდურებს და საჭიროებს მომვლელს გაიცემა ფინანსური დახმარება 200 ლარის ფარგლებში.

ასევე ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით გაიცემა პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე დამოუკიდებლად ვერ ახერხებს გადაადგილებას, საჭიროებს მომვლელს, ან არის უსინათლო და აქვს ორივე თვალის სრული ან პრაქტიკული სიბრმავე.

აღნიშნული პროგრამების გარდა, მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით ფუნქციონირებს „შშმ ბავშვთა დღის ცენტრი“ ქ. ამბროლაურში და მრავალფუნქციური სარეაბილიტაციო ცენტრი სოფ. სადმელში, სადაც ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სახის მომსახურებით.

აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა საკითხებზე მუშაობს და მათთან საქმიანობას კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი საბჭო, რომელმაც ახლახანს გამართულ სხდომაზე დაამტკიცა „შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა“.

ინფორმაცია

***

გაიმართა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 35-ე (რიგგარეშე) სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებას. თანხმობა მისცეს ამბროლაურის მერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ86.19.21.203) უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის გადაცემაზე და ამბროლაურის, ღენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის – ამარანტები“ ერთობლივად დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 36-ე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა ა(ა)იპ-ების „ამბროლაურის კულტურის ცენტრის“,სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, „ტურისტული ცენტრის“, შპს „ახალი ტრანსპორტის“, „სერვის ცენტრის“ დირექტორების ანგარიშები 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ცნობად მიიღო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სხდომამ დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა და იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 37-ე რიგგარეშე სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2022 წლის 27, 2018 წლის 43 და 2022 წლის 23 დადგენილებებში და დაამტკიცა საქართველოს კანონის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209 მუხლითა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31 და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-წარმოების წესი.

ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეებისთვის, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა მიეძღვნა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებსა და ევროპული პერსპექტივის მნიშვნელობას ისტორიულ კონტექსტში და მას უძღვებოდნენ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული წარმომადგენელი თამარ გოგოლაძე და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ხამაშურიძე.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

აუცილებელია ვიცოდეთ

ვთვლიდით, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების, დეპუტატებისა და ადგილობრივი მედიის საშუალებითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სრულფასოვნად ფლობდა ინფორმაციას იმ სოციალური დაცვისა და სამედიცინო მომსახურების პროგრამებზე, რომლებსაც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა. აღმოჩდა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით მთის ზონის სოფლებში, კომპიუტერის არ ქონებისა თუ მოხმარების არ ცოდნის გამო, ვერ ფლობს სათანადო ინფორმაციას პროგრამების ქვეპროგრამებით სარგებლობის მიზნობრიობის და დახმარების წესებზე. რამდენადაც სახელმწიფო დასაქმების პროგრამით მოსარგებლეთა დახმარებით ადგილობრივი გაზეთი ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის უმრავლესობისათვის, არსებული ვაკუუმის შევსების მიზნით ვიწყებთ ახალი რუბრიკით – „აუცილებელია ვიცოდეთ“ მასალების გამოქვეყნებას ქვეპროგრამების დანიშნულებაზე და მათ წესებზე, იმაზეც თუ ვის შეეძლება მიიღოს დაფინანსება და რა დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარდგენილი მერიაში.

ვიწყებთ **სამედიცინო მომსახურების პროგრამით**.

მანამდე ხაზგასმით აღვნიშნავთ: აუცილებლად უნდა იცოდეს მსურველმა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსებას, რომელიც არ/ან ნაწილობრივ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს სამედიცინო მომსახურების 5 ქვეპროგრამას. მათგან 3 ქვეპროგრამაზე (ონკოლოგიურ/სიმსივნური დაავადებების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება; ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება და ფენილეკეტონურიით დავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა) მოსახლეობას მეტნაკლებად აქვს ინფორმაცია და 2022 წელს ისარგებლა კიდეც 460 ბენეფიციარმა. ამჯერად ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ამბულატორიული მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამებთან დაკავშირებით უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) ქვეპროგრამით მოსარგებლეა: ა) ეპილეფსიით, პარკინსონით, გლაუკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასთენიით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური, ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობტურუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე პირს, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი. ბ) გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს მედიკამენტებით მკურნალობას.

დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების მქონე პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდება წლიური 200 (ორასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე, (დიაბეტის შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში არა უმეტეს 100 (ასი) ლარისა, ხოლო „ბ“ პუნქტის შემთხვევაში წლიური 400 (ოთხასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.

დაფინანსების მიღების მიზნით ბენეფიციარმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; ბ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში); გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა IV-№100/ა), სადაც მითითებული იქნება: გ.ა) მასზედ, რომ პაციენტი საჭიროებს მუდმივ მედიკამენტურ მკურნალობის კურსს; გ.ბ) იმ მედიკამენტების ჩამონათვალი (მკურნალობის მიმდინარე კურსზე რაოდენობრივად გათვლილი), რომელიც უნდა დაფინანდეს. დ) ანგარიშ-ფაქტურა ან ინვოისი; ე) ცნობა/მიმართვა სოციალური მომსახურების ცენტრიდან მედიკამენტის დაფინანსების შესახებ(საჭიროების შემთხვევაში); ვ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამით

დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) (გარდა 0–18 წლამდე ბავშვებისა და მე-4 პუნქტისა „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარებისა).

ქვეპროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება საზღვარგარეთ ჩასატარებელი და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა.

ქვეპროგრამით დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები: **ა) კომპიუტერული ტომოგრაფია; ბ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია; გ) კორონოგრაფია/ანგიოგრაფია; დ) კლასტოგრაფია; ე) დოპლეროგრაფია; ვ) აორტოგრაფია;**

ბენეფიციარმა/წარმომადგენელმა დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი(საჭიროების შემთხვევაში). გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა IV-№ 100/ა). დ) ანგარიშ-ფაქტურა ან ინვოისი; ე) ცნობა/მიმართვა სოციალური მომსახურების ცენტრიდან სამედიცინო მომსახურების დაფინანსების არსებობის ან ნაწილობრივი დაფინანსებისა და მისი ოდენობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში); ვ) სოციალურად დაუცველმა – ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ(საჭიროების შემთხვევაში). ზ. დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან (საჭიროების შემთხვევაში).

რედაქციისაგან: ეტაპობრივად გაგრძელდება მკითხველზე ინფორმაციის მიწოდება სოციალური პროგრამის იმ ქვეპროგრამებზე, რომლებითაც წლებია სარგებლობენ ბენეფიციარები და ხორციელდება სახელმწიფო შეღავათების პარალელურად მოსახლეობაზე შეხიდების მიზნით.

ბავშვი – ფასეული საჩუქარი

კარგა ხანია უცხოელმა მკვლევარებმა ქართველები მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანეს. რა ხანია ქართველი დემოგრაფები განგაშის ზარებს არისხებენ და მოუწოდებენ წყვილებს იზრუნონ ერის გამრავლებაზე. მიუხედავათ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული შეღავათების დაწესებისა ქვეყანაში ქართველების რაოდენობა მაინც მცირდება. არა მარტო იმ მიზეზით, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ ან საცხოვრებლად წამსვლელთა რაოდენობა იზრდება, არამედ უფრო იმ გულსატკენი მიზეზით, რომ ქართულ ოჯახებში მხოლოდ ერთი ან ორი ბავშვი იზრდება. შობადობის კლება დემოგრაფიულ სიტუაციას ერის სასარგებლოდ ნამდვილად არ ცვლის.

ქვეყნის შემადგენელი ნაწილია ჩვენი კუთხეც. ამ შემთხვევაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გვყავს მხედველობაში. 2022 წელს კი გავიხარეთ 96 ბავშვის დაბადებით, მაგრამ სამუდამო განსასვენებლამდე 298 ადამიანი მივაცილეთ. მხოლოდ 89 წყვილმა იქორწინა, არადა რამდენი ქალვაჟია დასაქორწინებელი. დღეს უქონლობის მიზეზად მოყვანა უპასუხისმგებლობაა. უფრო მოქალაქეობრივ მოვალეობაზე თავის არიდებაა მათი მხრიდან.

2023 წლის პირველი იანვრისათვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 13560-ს შეადგენდა. აქედან 6856 ქალია. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მონაცემებით 135-ია მრავალშვილიანი დედა. მათგან 7 ხუთშვილიანია, 18 ოთხშვილიანი, დანარჩენი სამშვილიანები. ქედის მოხრით მათ პატივისცემა და ლოცვა-დიდება.

2023 წლის იანვარში და მარტში მრავალშვილიანი დედების რიცხვს შეემატნენ: **ანა ჯანგიძე-დარახველიძე** (ბოსტანა) და **ლალი მაისურაძე-გამყრელიძე** (წესი). ანა ოთხი შვილის დედაა, ხოლო ლალი ხუთის. მათ სამშობიარო ბლოკში ეწვივნენ მილოცვებით და საჩუქრებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**. მერი **ზვიად მხეიძე**, სამსახურის ხელმძღვანელი **მარიკა დვალი**.

საბედნიეროდ ჩვენი კუთხიდან ორსულ ქალებს აღარ სჭირდებათ დიდ ქალაქებში სამშობიაროდ წასვლა, აქ ისინი კვალიფიციურ, გამოცდილ მედიკოსთა ზრუნვის ქვეშ არიან. განვლილ სამ თვეში ამბროლაურის საავადმყოფოს სამშობიარო ბლოკში 8 ბავშვი დაიბადა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათი ამ ქვეყნად მოვლინება შვილი ხომ ზეციური საჩუქარია. ჩვენს ქვეყანას, კუთხეს აუცილებლად სჭირდება ბევრი მრავალშვილიანი ოჯახი.

გაზაფხულის შემობრძანებას, დედისა და ქალთა დღეებს გილოცავთ ქალბატონებო!

ანა

ლალი

სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესა** და მერ **ზვიად მხეიძესთან** ერთად, დედის დღე პირადად მიულოცა აფხაზეთის ომში დაღუპული გმირის **მალხაზ ნემსწვერიძის** დედას, ქალბატონ სულიკოს.

2019 წლიდან 21 მარტს აღინიშნება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა სოლიდარობის დღე. ამ დღის აღნიშვნის მიზანი ისეთი აქტივობებისა და ღონისძიებების წახალისებაა, რომელიც მიმართულია დაუნის სინდრომის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ამ სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისკენ.

მსოფლიო სოლიდარობის აქციას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები შეუერთდნენ და „ჭრელი წინდების“ კამპანიაში ჩაერთნენ.

„მზის შვილები“ – ასე უწოდებენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან, მეგობრები კი ქრომოსომებს არ ითვლიან.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ქ. ამბროლაურში 2019 წლიდან ფუნქციონირებს შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „ბაო“, რომელიც ზრუნავს ბენეფიციარების სოციალური უნარების განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას სოციუმში. ამიერიდან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, დღის ცენტრი „ბაო“ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებსაც მოემსახურება. თანადაფინანსება კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ცენტრის საქმიანობას

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მარიკა დვალი, ამავე სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, „დღის ცენტრის“ წარმომადგენლებს შეხვდა, სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო და ცენტრის შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით დეტალები მათთან ერთად განიხილა.

„...და რაკი ზამთრით გაფაციცებულ, ეს გაზაფხული მე მოვიყვანე“

ამ სტრიქონით გაზაფხულის შემობრძანება ორიგინალურად მიულოცა ღირსეულმა პოეტმა მამაკაცმა ღირსეულ ქალბატონს. თითქოს ერთს, მისთვის ერთადერთს, მაგრამ ნაგულისხმებ იმ უამრავთაგანს, რომლებიც საბედნიეროდ დღეესაც, ამ არეულ წუთისოფელშიც, ღირსეულ მამაკაცებთან ერთად აძლიერებენ ქვეყანას.

ღირსეულთა სიმცირეს არც ჩვენი მუნიციპალიტეტი უჩივის, მაგრამ მათგან ამჯერად ამბროლაურის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა სამი მამაკაცი მიიწვიეს ლიტერატურულ საღამოზე „ღირსეული მამაკაცები“. თავიდან მკითხველთან შეხვედრა თებერვალში იყო დაგეგმილი, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო გაიმართა მარტში დაემთხვა ქალთა დღეებს და უფრო საინტერესო გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ საღამოს დაანონსებას გამოხმაურებაც ახლდა, იყო აზრთა სხვადასხვაობაც, მაგრამ შერჩევითობის კრიტერიუმები საზოგადოების მიერ იყო შემოთავაზებული. უპირველესად ესაა ბიბლიოთეკასთან და წიგნთან ურთიერთობა.

გულახდილები იყვნენ თამაზ დაუშვილი, გელა კობახიძე და გურამ გორდეზიანი თავიანთ განვლილ ცხოვრებაზე საუბრისას. მეგობრებმა გაიხსენეს მათთან დაკავშირებული საინტერესო ეპიზოდები. გურამ გორდეზიანმა საკუთარი ლექსიც წაიკითხა...

ნამდვილად სასიამოვნო გარემოში წარიმართა საღამო და მამაკაცებმა ღირსეული ჟესტით მიულოცეს ქალბატონებს გაზაფხულის შემობრძანება, დედის დღე და 8 მარტი. მადლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ბევრი საინტერესო და ლამაზი ღონისძიების მოწყობა უსურვეს და კვლავაც აღუქვეს გვერდში დგომა იმ მნიშვნელოვან საქმეში რასაც ჰქვია ბიბლიოთეკა – წიგნი და მკითხველი.

სწორი არჩევანი

მეშვიდე თვეა ქალაქ ამბროლაურში, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ, გამსახურდიას ქუჩის მაცხოვრებლებს დღის დაწყებას **თათია ქემოკლიძის** ნაბიჯების ხმა ამცნობს. ახალგაზრდა პედაგოგი ლუხუნის ხეობაში მიიჩქარის. ზარის დარეკვას ლიხეთის საჯარო სკოლაში უნდა დაასწროს.

რა თქმა უნდა, რთულია ყოველდღე 16 კილომეტრის გავლა, მაგრამ დაღლას ვერც გრძნობს. რადგან უყვარს თავისი პროფესია და, რაც ხაზგასასმელია მის ბიოგრაფიაში, თავისი მშობლიური კუთხე. სწორედ ამ სიყვარულმა დააბრუნა, მაცდუნებელი შემოთავაზებების მიუხედავად, დედაქალაქიდან მშობლების სახლში, რომელსაც მისმა სითბომ და ხმაურმა შემოხსნა სიმარტოვის მარწუხები.

თათია ქალაქის პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. სწავლა გააგრძელა 119-ე სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის უმაღლეს სასწავლებელში „ჯორჯია“, უცხო ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პრაქტიკა გაიარა 118-ე საჯარო სკოლაში. მუშაობის დაწყება სხვა პროფილით არ გაჭირვებია, მაგრამ არჩეული პროფესიის სრულყოფის მიზნით სამსახურის პარალელურად აგრძელებდა საკუთარ თავზე მუშაობას. წარმატებით გაიარა მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდა, წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში ერთწლიანი 60 კრედიტიანი პროგრამა და უფროსი მასწავლებლის სტატუსიც მიიღო (რომელიც სამუშაოს დაწყებისთანავე გაუაქტიურდა).

შემოთავაზებები იყო როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების სკოლებიდან, მაგრამ გულმა აქეთ გამოუწია. თუმცა სჯობს თვითონვე ისაუბროს მი-

თუმეტეს, რომ რესპოდენტი ძალზე გულღია აღმოჩნდა.

– მართალია თბილისში უფრო კომფორტულად ვიქნებოდი მშობლებთან, ძმის ოჯახთან ერთად, მაგრამ როგორც კი ვაკანსია გამოჩნდა არც დავფიქრებულვარ. კი არ წამოვედი, გამოვიქეცი რაჭაში. აქ ხომ ჩემი მშობლების სახლი მელოდა. მე ხომ აქ გავიზარდე. თუმცა არ ვფიცავ ძალიან დიდი განცდაც მქონდა. არ ვიცოდი როგორ მიმიღებდა კოლექტივი, სოფელი, ბავშვები.

პირველივე წუთიდანვე წარმოუდგენელი სითბო მაჩვენეს. გულში ჩამიკრეს და მეც ძალიან შევიყვარე ისინი.

ყოველივე ამისათვის უდიდესი მადლობა სკოლის დირექტორს **სოფო ლობჯანიძეს**, სკოლის მთელ კოლექტივს და რესურსცენტრის ხელმძღვანელს **კახა რეხვიაშვილს**.

კოლექტივში ასაკით უფრო პატარები ვართ მე და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ლობჯანიძე. ცხადია, უცებ გამოვნახეთ საერთო ენა. ნინო ადგილობრივია, მაგრამ სახლში მარტოსულად რომ არ ვიგრძნო თავი ხშირად მომყვება ამბროლაურში. ეს მეგობრობაა. თანამედროვე ენაზე დაქალობა. ჰოდა, ამისათვის დიდი მადლობა ნინოს.

განსაკუთრებული სიყვარულით დიდი მადლობა იმ 18 მოსწავლეს(რომელთაგან ჩემი სადამრიგებლო მე-7 კლასის ხუთეულია), რომლებიც საოცრად ბუნებრივები, ალალები, თბილები და მოკრძალებულები არიან.

ყოველი დღე მახარებს მათთან შეხვედრა. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით. ერთადერთი, რაც ცრემლს მომგვრის ჩემი პატარა ძმისშვილის ნინიას მონატრებაა. მასთან სატელეფონო საუბარი არ მიცვლის მონატრებას.

სკოლაში ახალ მისულს მითხრეს: შენც მალე გაგვექცევი აქედანო.

ჩემო ძვირფასო კოლეგებო, მოსწავლეებო! თქვენთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. თქვენგან ისეთი სითბო და სიყვარული მოდის არსად არ ვაპირებ წასვლას.თუმცა ოჯახი ხომ უნდა შევქმნა? მომავალი ჩემს ბედზეა დამოკიდებული, სად წამიყვანს არ ვიცი. მანამდე კი თქვენთან ვარ.

თანატოლებისადმი გზავნილი გამოგვატანა: არ შეუშინდეთ ქალაქიდან რეგიონში წამოსვლას, მითუმეტეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. აქ დიდი სითბო, ყურადღება და სიყვარული იციან.არჩევანში არ შეცდებით,კუთხეს ვსჭირდებით.

როგორ შეიძლება არ დაეთანხმო წრფელი გულით ნათქვამ მის სიტყვებს. მოგვეწონა ეს გოგო. წარმატებებს ვუსურვებთ მას და ლიხეთის საჯარო სკოლის პედაგოგებს შემოქმედებით საქმიანობაში. ამავდროულად ვულოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს მუნიციპალიტეტის მრავალრიცხოვან პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად.

ც. გურგენიძე

ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა სსიპ ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის იმ მოსწავლეთა დაჯილდოება, რომლებმაც უმაღლესი შეფასებით დაძლიეს საბაზო საფეხური. მათ პორტაბელური კომპიუტერები რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ – **ქრისტინა კობახიძემ** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან** ერთად გადასცა. გაიცანით: ანა გელაშვილი, კესო შარაბიძე, ნინო გოგოლაძე, საბა გოგილიძე, ნიკოლოზ ყრუაშვილი და დავით ცაგურიშვილი.

ვულოცავთ.

ჩვენებური ფაღავნები გვანებივრებენ

ამბროლაურის სახელით მოასპარეზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 2023 წლის სტარტი კარგად აიღეს. საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულებიც გვყავდნენ და ზაგრებში გამართული საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირის პრიზიორებიც.

ახლახანს კვლავ გაგვახარეს. 23 წლამდელთა შორის მიმდინარე კონტინენტურ პირველობაზე (U 23) 79 კილოგრამით წონით კატეგორიაში ვლადიმერ გამყრელიძე ვერცხლის პრიზიორია, ხოლო 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი გოგრიჭიანი ბრინჯაოს პრიზიორი.

გვანებივრებენ ჩვენებური ფალავნები. ვულოცავთ. წარმატებები არ მოგკლებოდეთ ბიჭებო!

სცენაზე საშეზოზლოდან

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის სცენაზე გამართული სპექტაკლით „დაკრძალვა სახელმწიფო ხარჯით“, ონის მოყვარულთა დასმა, გასტროლის ფარგლებში, ამბროლაურელ მაყურებელს შთამბეჭდავი და საინტერესო საღამო აჩუქა.

სპექტაკლს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე** ესწრებოდა.

სოფლის ძალა აქ მოზამთრე ახალგაზდროგაა

წელიწადის ყველა დროს თავისი ხიბლი და სილამაზე აქვს. ყინვა, თოვლი და სიცივე ზამთრის სამკაულია, სამყაროს მკაცრი სილამაზე და სისპეტაკე. მცირე და ზომიერი აუცილებელი და სასიამოვნოა, სიახლე შემოაქვს, განწყობის გადახალისება ხდება, მაგრამ ბევრი სახიფათოა და საშიში, მთიანი სოფლებისთვის ათასი პრობლემის შემქმნელი, მსხვერპლიც თანმხლებია.

რაჭველ კაცსა და მით უმეტეს ველეველს, მკაცრი და დიდი ზამთრით ვერ გააკვირვებ, ამიტომაც მთელი წელი ემზადებოდა მის შესახვედრად: თოვლის აღებიდანვე იწყებდა საკვები მარაგის დაგროვებასა თუ საზამთრო სამოსზე ზრუნვას „ზამთარს დიდი მუცელი აქვსო“, „ზამთარს ეკონკე და ზაფხულს ეკოხტეო“ – ასეთ არაკებს ამბობდნენ ძველი, ცხოვრების ჭირვარამს გამოვლილი ადამიანები. შეშასა და თივაზე სალაპარაკოც არ არის. თივობა – ყველაზე დიდი ალოს თავი და ჭაპანწყვეტაა!.. ყველა ოჯახში იყო მარხილი და თხილამურები, ყველასთვის იქსოვებოდა პაჭიჭები თუ გამაშები და ემზადებოდნენ გრძელი და ხანგრძლივი ზამთრის დასახვედრად.

რა თქმა უნდა, მარხილისა და თხილამურების დროის შედარება თანამედროვეობასთან არ შეიძლება, მაგრამ ძველების გამოცდილება გასათვალისწინებელია, ზამთარს ოჯახიც მომზადებული უნდა შეხვდეს და სოფელ-ქვეყანაც, დიდს არ მოთოვსო, ამ იმედზე ყოფნა არ შეიძლება. ბუნება მბრძანებელია!

ამაში თებერვლის თვეში მოსულმა უხვმა ნალექმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

თოვდა... გადაუღებლად თოვდა. ავადმყოფის სხეულივით მორღვეული ზეცა ხეთა კენწეროებს დაბჯენოდა, ქარიც კაპასად წიოდა, გარეთ ცხვირს არ გაყოფინებდა, უნებურად შიში გიპყრობდა: „ახლა რა იქნება!“ „ვინმეს რომ გაუჭირდეს!“ შუქიც ჩაქრა და კავშირიც გაწყდა. თანამედროვე გადაიარაღების ერთეულ ოჯახებს ე.წ. „დვიჟოკი“ აღმოაჩნდა, ტელეფონები იქ იტენებოდა, მაგრამ იქამდე მისვლა ხომ პრობლემა იყო დაცლილ და თითქმის მოხუცების ამარა დარჩენილ სოფელში. ასეთ დროს ადამიანის გამოჩენა და ტრაქტორის ხმის გაგონება ნამდვილი ცის გახსნა იყო. ჩიტიც რომ არ ფრენდა და გარე სამყაროდან დახმარებაც რომ შეუძლებელი იყო, ამ დროს გამოჩნდნენ ძმები **ლევან** და **ბექა სუთიძეები** თავიანთი ტრაქტორით და იმედი შემოიტანეს, **გიორგი გორგიაშვილს** თითქმის ტრაქტორში ეძინა, სიტუაციიდან გამომდინარე, როგორც შესაძლებელი იყო, ისე უმკლავდებოდა ბუნების კაპრიზს. სოფელში შემორჩენილ არცერთ ახალგაზრდას ნიჩაბი არ გაუგდია ხელიდან, ზრუნავდნენ საკუთარი თუ მეზობლების შენობების გადასარჩენად და შეშფოთებული ქალაქში წასულთა დასამშვიდებლად. მხარში ამოუდგნენ **გივი ენუქიძეს**, მოიძიეს თადარიგიან ოჯახებში შემონახული მამა-პაპის ნაქონი თხილამურები, მიუდგომელ ადგილებში იარეს, დაეხმარენ რაიონიდან მოსულებს და ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ ელექტრო ენერგიის მოწოდება აღდგა. მათი მეცადინეობა რომ არა, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქნებოდით უშუქოდ. ახალგაზრდების წყალობით დიდთოვლობამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა საზრუნავი უამრავი გააჩინა. ისიც ცხადად დავინახეთ, რომ სოფლის შემნახავი აქ მოზამთრე ადამიანებია, განსაკუთრებით ახალგაზრდები. მათ გარკვეული ხელშეწყობა ესაჭიროება, რომ ფეხი მყარად მოიკიდონ და არ დატოვონ სოფელი. სოფლის პრობლემის დანახვა და მოვლა სოფლის უბეში გამოზრდილზე უფრო ვის შეუძლია!? ისინი ბავშვობიდანვე შეჩვეულები არიან ბუნების ჭირვეულობასაც და სოფლის ცხოვრების სირთულესაც, ქალაქში გაზრდილი, რომც უნდოდეს, ვერ ხვდება რა დროს რა არის გასაკეთებელი. ის უცხოა ამ გარემოსათვის, ვერ ეგუება და გარბის.

მადლობა მათ, ვის მხრებზეც დგას დღეს სოფელი და ვინც გადაგვატანინა ბუნების ხანმოკლე, მაგრამ მკაცრი შემოტევა. მადლობა სოფელს შემორჩენილ ახალგაზრდებს!

ეკატერინე ჭიჭინაძე

„ავტორიტეტები“ - გამარჯვებული გუნდი

ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელის – მოაზროვნის ირაკლი ვეშაგურიძის მხარდაჭერა – დახმარებით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?”

გამარჯვებული გახდა გუნდი „ავტორიტეტები“, რომლის წევრები არიან:

- მარიამ ყიფიანი
- საბა დუშუაშვილი
- ნინო ლაიშვილი
- მარი გველეთიანი
- დავით ცაგურიშვილი
- ნიკოლოზ მურუსიძე

გუნდების წევრები შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით, მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით.

აქტივობა განხორციელდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 2011 წლიდან 22 მარტს აღინიშნება **წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე**.

წელს საქართველოს „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრების“ ინიციატივით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით, კამპანია „ლურჯი ნაკადულის“ ფარგლებში, დასუფთავების აქცია განხორციელდა.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიერ აქციის ფარგლებში დასუფთავდა ქ. ამბროლაურის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, ჩატარდა დაზიანებული წიწვოვანი ნარგავების გამაგრებითი სამუშაოები და დასუფთავდა „კრიხულას სანაპირო“.

ფოცო ბრალდება

თვეზე მეტია ასე გამოიყურება ბრატისლავა-რაჭის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსების წინ მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორია, ვინ არის დამნაშავე?

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.